



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
1 თებერვალი 2021

ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2020 წლის დეკემბერში რეალური მშპ წლიურად 7.9%-ით შემცირდა, რაც თითქმის ნოემბრის კლების დონეზეა და ორჯერ ნაკლებია აპრილი-მაისის 15.1%-იან ეკონომიკის ვარდნაზე. აღნიშნული, დიდწილად უკავშირდება იმას, რომ დეკემბერში დაწესებული შეზღუდვები უფრო მსუბუქი იყო გაზაფხულის შეზღუდვებთან შედარებით და ეკონომიკური საქმიანობა უფრო ბევრი მიმართულებით იყო ნებადართული. ამასთან, დეკემბერში რეალური ზრდა დაფიქსირდა საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების, წყალმომარაგების, კანალიზაციისა და ნარჩენების მართვის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, სამთომშოპვებითი მრეწველობის სფეროებში. ამასთან, კლებას ჰქონდა ადგილი შემდეგ დარგებში: განთავსების საშუალებით უზრუნველყოფა, მშენებლობა, ხელოვნება, საბითუმო და საცალო ვაჭრობა, დამამუშავებელი მრეწველობა და ტრანსპორტი და დასაწყობება. ჯამურად, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.1%-ით შემცირდა, რაც თანხვედრაშია ჩვენს შეფასებებთან. რეალური მშპ-ის ყოველთვიური მაჩვენებელი იანვარიდან დღის ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების საფუძველზე.

საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 2020 წლის დეკემბერში წლიურად 9.1%-ით, ხოლო წინა თვესთან შედარებით 2.2%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) და 38.2 მლრდ ლარი შეადგინა. ვალუტების მიხედვით, ლარში გაცემული სესხები წლიურად 18.9%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდის ტემპი 1.1% იყო (კურსის ეფექტის გამორიცხვით). სექტორების მიხედვით, კორპორატიული დაკრედიტება წლიურად 8.2%-ით გაიზარდა (+3.0% თ/თ, კურსის ეფექტის გამორიცხვით), ხოლო საცალო სესხები წლიურად 9.8%-ით გაიზარდა (+1.5% თ/თ, კურსის ეფექტის გამორიცხვით). 2020 წლის დეკემბერში სესხების დოლარიზაციამ 55.3% (+0.50პპ წ/წ და -0.79პპ თ/თ) შეადგინა და უმოკმედო სესხები 2.3%-ს გაუტოლდა (+0.35პპ წ/წ და +0.09პპ თ/თ). საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების ზრდა 2020 წლის დეკემბერში დაჩქარდა და 20.8% შეადგინა, ხოლო წინა თვესთან შედარებით 3.5%-იანი ზრდა დაფიქსირდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით). ამასთან, დაჩქარებული იყო ლარის დეპოზიტების ზრდა, ხოლო უცხოურ ვალუტის დეპოზიტების ზრდის ტემპი მცირედით შენედა. ამასთან, დეკემბერში დეპოზიტების დოლარიზაციამ 61.4% შეადგინა (-2.71პპ წ/წ და -0.57პპ თ/თ).

მწარმოებელთა ფასების ინდექსი: საქსტატის მონაცემებით, 2020 წლის დეკემბერში მწარმოებელთა ფასების ინდექსი წლიურად 11.7%-ით გაიზარდა, წინა თვეში დაფიქსირებული 10.0%-იანი ზრდის შემდეგ. ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი ზეგავლენა იქონია ფასების ცვლილებამ დამამუშავებელი მრეწველობის (+11.5%) სექციაში.


სავალუტო ინტერვენციები: 2021 წლის 27 იანვარს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე ლარის მხარდასაჭერად 40 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. ჯამურად, წლის დასაწყისიდან სებ-მა 2 სავალუტო აუქციონი გამართა და 80 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.

ეკონომიკური ინდიკატორები

	2017	2018	2019
მშპ (%-ლი ცვლილება)	4.8%	4.8%	5.0%
მშპ ერთ სულზე (ppp)	13,596	14,584	15,634
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,359	4,722	4,696
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	6.7%	1.5%	7.0%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.0	3.3	3.5
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	8.1%	6.8%	5.5%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.7%	2.3%	2.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	39.4%	38.9%	40.4%

წყარო: ოფიციალური მონაცემები, გალტ & თაგარტი

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2019-20

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №7 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №12 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №74

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

 BB სტაბილური დადასტურებული აგვისტო-2020	 Ba2 სტაბილური დადასტურებული აგვისტო-2020	 BB უარყოფითი დადასტურებული აგვისტო-2020
---	--	---

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბენჩმარკ ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2021 წლის 26 იანვარს 5-წლიანი 35 მლნ ლარის (10.6 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 2.6-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.085პპ-ით შემცირდა და 8.112% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2021 წლის 2 თებერვალს, სადაც 6-თვიანი 15 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 2-წლიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.


სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2021 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება*
6-თვე	0	165	120
1-წელი	0	165	660
2-წელი	0	220	1,530
5-წელი	35	385	2,261
10-წელი	25	75	1,237
სულ	60	1,010	5,808

წყარო: ფინანსთა სამინისტრო


შენიშვნა: * 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი




წყარო: სეზ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი



წყარო: სეზ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევრობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევრობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 3.68%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 105.46 (-0.07% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ევრობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 101.41 (+0.41% წინა კვირასთან შედარებით), 5.62%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევრობლიგაციებით (GEOROG) ვაჭრობა დაიხურა ფასით 100.57 (+0.01% წინა კვირასთან შედარებით), 4.22%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ევრობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 106.82 ფასად (+0.34% წინა კვირასთან შედარებით), 2.88%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევრობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 101.10 (-0.02% წინა კვირასთან შედარებით), 1.19%-იანი შემოსავლიანობით.


ევრობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ევრობლიგაციები

შემოსავლიანობა (%)



წყარო: Bloomberg

შენიშვნა: სილიქეტის დურაციის გამოთვლისას ვადიანობის განსაზღვრისთვის აღებულია გამოსყიდვის თარიღი

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ევრობლიგაციები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB/BB/Ba2	101.10	1.19	99.01
GRAIL 07/22	US\$	500	7.750%	Jul-22	BB-/B+/-	106.82	2.88	270.71
GEOROG 04/21	US\$	250	6.750%	Apr-21	BB/BB-/	100.57	4.22	404.13
GEBGG 07/23	US\$	350	6.000%	Jul-23	BB-/B/Ba2	105.46	3.68	345.91
GEBGG 11 1/8 PERP	US\$	100	11.125%	n/a	B-/B-	107.54	9.05	822.42
GEOCAP 03/24	US\$	300	6.125%	Mar-24	-B/B2	101.41	5.62	535.21
SILKNET 04/24	US\$	200	11.000%	Apr-24	B-/B1	110.34	7.28	609.11
TBC 06/24	US\$	300	5.750%	Jun-24	BB-/B/Ba2	105.48	4.00	369.90
TBC PERP	US\$	125	10.775%	n/a	B-/B-	103.93	9.56	914.58
GGU 07/25	US\$	250	7.750%	Jul-25	B+/B-/	103.39	6.86	633.46

ადგილობრივი ობლიგაციები

KTW 12/22	US\$	10	9.00%	Dec-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
GWP 12/21	GEL	30	12.50%	Dec-21	BB-/B-/	n/a	n/a	n/a
M2CA 12/21	US\$	30	7.50%	Dec-21	-/-/-	100.48	7.00	n/a
M2RE 10/22	US\$	35	7.50%	Oct-22	-/-/-	100.39	7.25	n/a
GLC 06/21	US\$	5	6.50%	Jun-21	B+/B-/	n/a	n/a	n/a
GLC 08/21	US\$	10	7.50%	Aug-21	B+/B-/	99.99	7.50	n/a
GLC 08/22	US\$	10	7.50%	Aug-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
CRYSTAL 02/21	GEL	15	13.00%	Feb-21	B-/B-	100.00	12.00	n/a
Nikora Trade 08/21	GEL	25	9.00%	Aug-21	-/-/-B+	n/a	n/a	n/a
SILKNET 04/24	GEL	34	12.50%	Apr-24	B+/B1/-	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	13.00%	Dec-23	-/-/-BB-	n/a	n/a	n/a
Lisi Lake Development	US\$	12	8.00%	Dec-21	-/-/-B+	n/a	n/a	n/a
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/-BB-	n/a	n/a	n/a
Swiss Capital 09/21	GEL	10	13.25%	Sep-21	B-/B-/	100.00	14.25	n/a
EVEX 11/24	GEL	50	12.10%	Nov-24	-/-/-BB	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg



ობლიგაციები

აღმოსავლეთი ევროპის 10-წლიანი სუვერენული ვერობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომცემი	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB/BB/Baa2	101.10	1.19	99.01
Azerbaijan	US\$	174	2.820%	Sep-21	BB+/-/Ba2	100.56	1.84	166.67
Belarus	US\$	800	6.875%	Feb-23	B/B/B3	104.23	4.70	450.92
Kazakhstan	US\$	1,500	3.875%	Oct-24	BBB/BBB-/Baa3	111.17	0.81	46.36
Russia	US\$	3,000	4.875%	Sep-23	BBB/BBB-/Baa3	110.12	0.96	72.41
Turkey	US\$	2,000	5.625%	Mar-21	BB-/B2	100.60	1.84	164.69
Ukraine	US\$	1,409	7.750%	Sep-21	B/B/B3	103.05	2.42	224.97

წყარო: Bloomberg




აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 11.48 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -3.37% წინა კვირასთან შედარებით და -7.12% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 141 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 10.80 – 12.06 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 30 ათასი აქცია შეადგინა.

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 5.03 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -4.19% წინა კვირასთან შედარებით და -7.54% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 197 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 4.90 – 5.32 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 32 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 12.18 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -2.56% წინა კვირასთან შედარებით და -1.30% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 223 ათასს გადააჭარბა, GBP 11.66 – 12.82 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 39 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg



აქციები

აღმოსავლეთი ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	ნ თვე ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2020F	2021F	2020F	2021F
Bank of Georgia	BGEO	GBP	11.48	564	50.9%	-24.4%	-5.9%	7.95x	4.60x	0.93x	0.77x
TBC	TBC	GBP	12.18	670	63.1%	-0.7%	-2.6%	6.15x	5.53x	0.96x	0.83x
Halyk Bank	HSBK	US\$	12.70	3,732	14.4%	-12.4%	9.0%	5.32x	4.81x	1.05x	0.96x
VTB Bank	VTBR	US\$	0.92	5,975	-11.0%	-38.7%	-3.4%	6.74x	3.07x	0.32x	0.30x
Akbank	AKBNK	TRY	6.38	33,176	20.2%	-22.9%	-7.9%	7.77x	5.69x	0.77x	0.66x
Garanti	GARAN	TRY	9.31	39,102	31.1%	-21.4%	-10.2%	8.03x	5.66x	0.87x	0.73x
Isbank	ISCTR	TRY	6.14	27,630	26.1%	-14.7%	-12.3%	5.73x	4.41x	0.58x	0.51x
PKO	PKO	PLN	28.88	36,100	28.1%	-17.2%	0.6%	12.36x	11.70x	0.79x	0.76x
PEKAO	PEO	PLN	63.70	16,719	20.0%	-35.9%	4.3%	13.11x	12.02x	0.65x	0.63x
Millennium	MIL	PLN	3.92	4,755	27.7%	-33.0%	19.9%	72.32x	12.57x	0.51x	0.50x
Mbank	MBK	PLN	195.60	8,281	-0.3%	-46.2%	9.2%	25.43x	17.37x	0.48x	0.47x
BRD	BRD	RON	15.04	10,481	26.6%	-6.7%	1.2%	12.67x	12.54x	1.12x	1.20x
Banca Transilvania	TLV	RON	2.30	11,971	21.4%	-2.7%	2.0%	12.20x	10.87x	1.55x	1.51x
OTP	OTPD	USD	22.40	12,544	-1.8%	-1.8%	-1.8%	12.58x	10.95x	0.70x	0.64x
Komerční	KOMB	CZK	655.00	124,482	21.1%	-17.3%	-0.3%	14.83x	13.01x	1.04x	1.01x
საშუალო								14.88x	8.99x	0.82x	0.77x
მედიანა								12.20x	10.87x	0.79x	0.73x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	ნ თვე ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2020F	2021F	2020F	2021F
Georgia Capital	CGEO	GBP	5.03	185	37.8%	-38.3%	-6.9%	n/a	n/a	n/a	n/a
Tinc Comm	TINC	EUR	12.55	342	-4.6%	-10.7%	-3.1%	n/a	n/a	n/a	n/a
Sabancı Holding	SAHOL	TRY	10.53	21,485	22.3%	6.4%	-8.1%	6.27x	5.43x	0.82x	0.69x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	36.05	542	16.3%	-7.4%	8.9%	n/a	11.70x	1.18x	1.16x
Eurazeo	RF	EUR	57.70	4,545	27.9%	-9.6%	4.0%	32.22x	8.87x	0.78x	0.73x
Carlyle Group	CG	USD	32.24	3,568	8.9%	-4.3%	2.5%	5.42x	4.64x	5.33x	5.40x
საშუალო								14.64x	7.66x	2.03x	1.99x
მედიანა								6.27x	7.15x	1.00x	0.94x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომზადდა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომზადდა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის საგრძნობლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: gt@gt.ge